



თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი  
საშემსრულებლო ხელოვნების მსოფლიო ორგანიზაცია

მსოფლიო თეატრის დღე 2014  
ბრეტ ბეილის წერილი

სადაც საზოგადოებაა, თეატრალური ხელოვნების დაუმორჩილებელი სულიც იქ ტრიალებს.

ყველგან, სადაც სოფელში ხის ქვეშ, თუ გლობალური მეტროპოლისების თანამედროვე სცენებზე, სკოლის დარბაზებში, მინდორში თუ ტაძარში, მიყრუებულ ადგილებში, ქალაქის მოედნებზე, სათემო თავშეყრის ადგილებში თუ ქალაქის დარიბ უბნებში, ადამიანები ჩვენს მიერ შექმნილ ეფემერულ თეატრალურ სამყაროში ერთიანდებიან, რათა აჩვენონ ჩვენი, ადამიანების მრავალმხრივი, რთული და მოწყვლადი ხასიათი, სიცოცხლის, სუნთქვის და ხმის რეალური შეგრძნებით.

ჩვენ ვიკრიბებით, რათა ვიტროთ და გვახსოვდეს, ვიცინოთ და გავიაზროთ, ვისწავლოთ, დავრწმუნდეთ და წარმოვიდგინოთ. გაგვაოცოს ტექნიკურმა მოქნილობამ და ხორცი შევასხათ ღმერთებს. ვიპოვოთ ჩვენი ერთხმოვანი სუნთქვა სილამაზის, თანაგრძნობისა და სიმახინჯის სრული ჰარმონიით. ჩვენ მოვედით, რათა მოვიპოვოთ ძალა და ენერჯია. ვიზეიმოთ სხვადასხვა კულტურების სიმდიდრე და გავაუქმოთ საზღვრები, რომლებიც გვყოფს.

სადაც საზოგადოებაა, თეატრალური ხელოვნების დაუმორჩილებელი სულიც იქ ტრიალებს. საზოგადოებისგან შობილი, მრავალფეროვანი ტრადიციების კოსტიუმებსა და ნიღბებს ატარებს. ის იყენებს ჩვენს ენებს, რითმს და ჟესტებს, და ჩვენს შორის ქმნის სივრცეს.

და ჩვენ, ხელოვანები, რომლებიც ამ უძველესი სულით ვარსებობთ, თავს ვალდებულად ვგრძნობთ გზა მივცეთ მას ჩვენი გულების, იდეების და სხეულის გავლით, რათა გამოვავლინოთ ჩვენი რეალობა, მთელი მისი არამიწიერი და იდუმალი ბუნებით.

მაგრამ ეპოქაში, სადაც მილიონობით ადამიანი გადარჩენისთვის იბრძვის, სადაც რეპრესიული რეჟიმებისა და მტაცებლური კაპიტალიზმის გამო იტანჯებიან, სადაც

გვხდება სირთულეები და კონფლიქტები, სადაც ჩვენს პირად ცხოვრებაში სპეცსამსახურები იჭრება და ჩვენს სიტყვებს სახელმწიფო ცენზურის სახელით ატყვევებს, სადაც ტყეებს ანადგურებენ, სპობენ ცოცხალ არსებებს და წამლავენ ოკეანეებს: ჩვენ რა გვევალება, რა უნდა გამოვამკარაოთ?

ძალთა უთანასწორობის პირობებში, სადაც სხვადასხვა ჰეგემონური რეჟიმი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ერთი ერი, ერთი რასა, ერთი სქესი, ერთი სექსუალური კუთვნილება, ერთი რელიგია, ერთი იდეოლოგია, ერთი კულტურული ჩარჩო ყველა სხვას აღემატება, ნუთუ გამართლებულია ამტკიცო, რომ ხელოვნება სოციალური დღის წესრიგიდან ამოვარდნილი უნდა იყოს?

ნუთუ ჩვენ, არენისა და სცენის ხელოვანები, რომლებიც ბაზრის რაფინირებულ მოთხოვნებს ვემორჩილებით ან ვიხვეჭთ ძალაუფლებას, რომელიც გვაქვს: გავანათებთ სივრცეს საზოგადოების გულსა და გონებაში, შემოვიკრებთ ხალხს გარშემო, რათა შთავაგონოთ, მოვხიბლოთ და მივაწოდოთ ინფორმაცია და შევქმნით კი იმედები და გულწრფელი ურთიერთობის მსოფლიოს?

Translation: Tamar Mirianashvili